ხაშურის მოამბე

№16 (97) 24 აპრილი, ორშაბათი, 2017 წელი

განხორციელდება 2500-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი, შეიქმნება 40 ათასი სამუშაო ადგილი, დაიხარჯება 9 მილიარდ ლარზე მეტი...

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის ყველაზე მსხვილი კომპონენტის, სივრცითი მოწყობის 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა წარადგინა.

გეგმა გულისხმობს მასშტაბური და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებას, ქვეყნაში არსებული შესაძლებლობების მაქსიმალ-

ურად გამოყენებას და სრული დატვირთვით მუშაობას ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის.

2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს და მედია საშუალებებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ზურაბ ალავიძემ გააცნო.

„განხორციელდება უმნიშვნელოვანესი პროექტები გზების, წყალმომარაგების, ტურისტული ინფრასტრუქტურის, ეკოლოგიური, გარემოს დაცვის და სხვა მიმართულებით. განსაზღვრულია ის მიდგომები, რომლითაც ქვეყნის ყველა მოქალაქე, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში შეძლებს მიიღოს განათლება, დასაქმდეს და თავად დაასაქმოს. სრული დატვირთვით ამუშავებული და განვითარებული ინფრასტრუქტურა მისცემს მოსახლეობას არსებული შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას“-განაცხადა ინფრასტრუქტურის მინისტრმა .

2017-2020 წლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 2 500-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. დაგეგმილია 1000 კილომეტრი გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დამატებით ნახევარ მილიონამდე ადამიანი ისარგებლებს 24-საათიანი წყალმომარაგებით, აშენდება შვიდი ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 120- ზე მეტ საზოგადოებრივ-კულტურული დანიშნულების ობიექტს. 2 500-მდე პროექტის განხორციელება პირდაპირ შექმნის 40 000 სამუშაო ადგილს.

აღნიშნული პროექტები საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მათი ჯამური ღირებულება 9 მილიარდ ლარზე მეტია.

სოფელ ქემფერთან ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა -გუბერნატორმა კახა სამხარაძემ და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, სამხარეო ადმინისტრაციის და ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ქემფერთან სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების პროცესი დაათვალიერეს. სულ რამდენიმე დღეში, მცირედი ტექნიკური სამუშაოების შესრულების შემდეგ, ხიდის საბოლოო სახეს მიიღებს. ადგილობრივებმა მადლობა გადაუხადეს ხელმძღვანელობას მოსახლეობაზე ზრუნვისთვის და აღნიშნეს, რომ ეს პროექტი მათთვის მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ არსებული ხიდის მეშვეობით ცოცხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სამი სოფლის- ქემფერის, ცედანის და წაბლოვანის დაკავშირება ხდება.

ხიდის მშენებლობის შესყიდვა, გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 34 982 ლარით დაფინანსდა.

– ინფრასტრუქტურული პროექტები –

ფენდება, იქმნება, ლამაზდება

გაზაფხულის დადგომასთან ერთად ჩვენს მუნიციპალიტეტში ფართო მასშტაბით ამოქმედდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც 2017 წლის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული. როგორც ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსმა **გიორგი პაპიაშვილმა** განაცხადა, მიმდინარე წელი მართლაც გამორჩეული იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით. უახლოეს პერიოდში იწყება სოფელ ალში, ცენტრალური მაგისტრალიდან ბრილის გადასახვევამდე 2 კილომეტრიანი გზის მოასფალტება, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან და ადგილობრივი თანადაფინანსებით განხორციელდება,- აღნიშნა ბატონმა გიორგიმ - სულ ამ სამუშაოებს 417 ათასი ლარი მოხმარდება. პარალელურად, ქვემო ოსიაურში დაიწყება კილომეტრამდე სიგრძის გზის მონაკვეთის მოასფალტებაც, რისთვისაც 276 ათასი ლარია გათვალისწინებული. უკვე დაწყებულია და სულ მალე დამთავრდება გზის მოასფალტება შუშის ქარხნის დასახლებიდან, სურამში, გვერდისუბნის დასახლებამდე. რადგან სურამი ვახსენეთ, გეტყვით, რომ 50 ათასი ლარია გამოყოფილი, რომ სურამში, სტადიონზე, მოწესრიგდეს გასახდელები და საშხაპეები. ასევე უახლოეს პერიოდში გაკეთდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი მინიმოედანი გვერდისუბანში, ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობის ეზოში (60 ათასი ლარი), 54 ათასი ლარია გათვალისწინებული ქინძათში მინიმოედნის მოსაწყობად. 37 ათასი ლარი მოხმარდება შუშის ქარხნის დასახლებაში არსებული სტადიონის რეაბილიტაციას და 30 ათასი იტრიის დასახლებაში მინისტადიონის რეაბილიტაციას. სოფელ წაღვლში 300 ათას ლარამდეა გამოყოფილი ბეტონის გზისა და სანიაღვრე არხის მოწყობისათვის. სასიხარულო ცნობაა, რომ ტენდერით უკვე გამოვლინდა ხაშურის „ივერიის“ სტადიონის დამპროექტებელი ჯგუფი და 80 დღეში უკვე მზა პროექტი გვექნება ხელთ. ასევე დამთავრდა რკინიგზის სასახლის საპროექტო ტენდერი. ამჟამად მიმდინარეობს დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება და რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყება,- აღნიშნა ბატონმა გიორგიმ საუბრის ბოლოს.

მკითხველს გვინდა კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მხოლოდ უახლოესი თვეების „განრიგია“. წლის მთლიანი მასშტაბი კი გაცილებით დიდია და საბოლოო ჯამში ასიათასობით ლარი დაიხარჯება ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

გ. მაღრაძე

პეტრე კაპანაძე - სტალინის ხაშურელი მეგობარი

საყოველთაოდ ცნობილია იოსებ სტალინისა და პეტრე კაპანაძის მეგობრობა. მასზე ბევრს წერენ, ხალხში არაერთი, დღეს უკვე ლეგენდის სამოსში გახვეული ამბავი დადის მათი ურთიერთობის შესახებ. დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ერთი პატარა ქალაქის უბრალო მასწავლებელი... დიდი სახელმწიფო მოღვაწის მხრიდან საოცარი უბრალოება და პატივისცემა ჩანს თავისი სიყრმის მეგობართან ურთიერთობაში პეტრე კაპანაძის დამოკიდებულებაც ბელადის მიმართ ასეთივე საოცარი ერთგულებითა და სიყვარულით გამოირჩევა.

მას ყველაზე მეტად უბრალოება ხიბლავდა მეგობარში და აკი წერდა კიდეც: „ჩემი ცხოვრების მრავალმა ათეულმა წელმა განვლო და დრომაც, თითქოს, თავისი გაიტანა, ჭაღარით შემმოსა. ბავშვობიდან დღემდე როცა უკვე ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტი გზა განვლე, მახსოვს ბევრი რამ. მოგონებათა შორის განცვიფრებაში მოვყავარ ჩემი სკოლის დროინდელი ამხანაგის, პროგრესიული კაცობრიობის გენიალური ბელადის იოსებ სტალინის უბრალოებას.

ორმოციოდე წლის წინად 1898 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში შესვლისთანავე გავიცანით მე და სოსომ ერთმანეთი. ახლა იგი გენიალური პიროვნებაა, მე სახალხო მასწავლებელი, მაგრამ მას მოწაფეობის დროინდელი ამხანაგი არ დავიწყებია. მე პირდაპირ სასწაული მგონია: დიდ ადამიანს სად აქვს ამდენი დრო, რომ ხაშურელი მასწავლებელი, ოდესღაც მისი ბავშვობის დროინდელი ნაცნობი მომიგონოს და, არა თუ მარტო მომიგონოს, არამედ ჩემს ცხოვრებასა და მუშაობასაც კი თვალყური ადევნოს"

პეტრე სოლომონის ძე კაპანაძე დაიბადა 1877 წელის 1 (13) ივლისს, სოფელ წაღვლში. აქვე გაატარა ბავშვობა.

სოლომონის ოჯახი მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა. გარდა პეტრესი, ოჯახში კიდევ ექვსი ვაჟი იზრდებოდა. ესენი იყვნენ ივანე, ბესარიონი, პაველე სარდიონი, სიმონი და ალექსი. აქვე იყვნენ მისი ძმები მიხეილი და გიორგი, ბიძაშვილი გაბრიელი, ძმისშვილები კონსტანტინე, ილია, დარია, მარიამი სოფიო. ოჯახს თავს დატრიალებდნენ მისი მეუღლე ანა და რძლები ეფემია და ნინა.

პეტრე კაპანაძის ძმის – სიმონის ცნობით, -პატარა პეტრე სოფელ აბისში ლევან ამირეჯიბის ოჯახში იზრდებოდა. „ეცხოვრობდით თავად ლევან ამირეჯიბის მამულში, ეს იყო ჩვენი ბატონი. ბატონმა წაიყვანა ჩემი ძმა პეტრე მოსამსახურეთ, ბატონი უშვილო იყო. მან ჩემი ძმა პეტრე, მიაბარა გორის სასულიერო სასწავლებელში..."

ს. კაპანაძის ცნობით, ლევან ამირეჯიბთან ხშირად იმყოფებოდნენ მისი ახალო ნათესავები. აქ ნახავდით ივანე მაჩაბელს თავისი ცოლ - შვილით, ივანე ჯავახიშვილს და სხვებს. ამ უკანასკნელის დახმარებით სიმონ კაპანაძეს რუსული წერა-კითხვაც კი შეუსწავლია.

ასეთ გარემოცვაში იზრდებოდა პეტრე, სანამ იგი 1888 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში არ მიაბარეს. 1894 წლიდან პეტრე კაპანაძე თბილისის სასულიერო სემინარიაშია, რომელიც 1901 წელს დაამთავრა.

ამავე წლიდან პეტრე კაპანაძე ხაშურში ჩამოდის და მღვდლად იწყებს მუშაობას ზემო ჭალის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. ამავე დროს ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ზემო ჭალის ცნობილ ორკლასიან სასწავლებელში.

ამავე წელს პეტრე ქმნის ოჯახს. იგი ამ დროს ოცდასამი წლისაა. ცოლად ირთავს ზემო ჭალის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მთავარდიაკვნის დავით სუხიევის თექვსმეტი წლის ასულს – ეკატერინეს. ქორწინების თაგმდებნი იყვნენ პეტრეს მხრიდან მღვდლის შვილიშვილი სიმონ ტიმოთეს ძე მანჯავიძე და „ხაპასნიო" ეფრეიტორი ზაქარია სოლომონის ძე აფრიაშვილი. ეკატერინეს მხრიდან გლეხი ბაგრატ

ნესტორის ძე ლომიძე და მისი ძმა ივანე სუხიევი. ჯვრისწერა შეასრულეს დეკანოზმა მათე სუხიევმა, მთავრ - დიაკონმა ნიკოლოზ მთიულოვმა (მთიულიშვილი) და „პრიჩეტნიკმა" ივანე ნებიერიძემ.

10-იანი წლებიდან პეტრე კაპანაძე ჯერ ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაშია, ხოლო შემდეგ ხაშურის რკინიგზის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში მოღვაწეობს.

პ. კაპანაძე აქტიურად იყო ჩართული ხაშურის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი ხაშურის მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად დიდ მუშაობას ეწეოდა ჯერ პროგიმნაზიის დასაარსებლად, ხოლო შემდეგ მის სრულუფლებიან გიმნაზიად გადაკეთებისათვის. ხაშურლების ძალისხმევა პროგიმნაზიის დასაარსებლად წარმატებით დასრულდა 1908 წელს, ხოლო მისი გადაკეთება გიმნაზიად 1914 წელს. ხაშურის გიმნაზია იყო ხაშურსა და მის მეზობელ რაიონებს (ბორჯომი, ხარაგაული) შორის ერთადერთი საშუალო სასწავლებელი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მხარის მოსწავლე - ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. პ. კაპანაძე აქაც აგრძელებდა პედაგოგიურ საქმიანობას.

1921 წლის შემდეგ პეტრე კაპანაძე მხოლოდ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. იყო რიგითი მასწავლებელი, სკოლის დირექტორი. ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, 1934 წელს ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულ იქნა ქვეყნის უმაღლესი ორდენით-„ლენინის ორდენით".

სიცოცხლის ბოლო წლებში პეტრე კაპანაძე ხაშურის მასწავლებელთა სახლის დირექტორად მუშაობდა, ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას, იყო ხაშურის საქალაქო საბჭოს რამოდენიმე მოწვევის დეპუტატი, განათლების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის წევრი და სხვა.

პ. კაპანაძე დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა არამარტო ხაშურის, არამედ იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრიობაში. ამას ხელს უწყობდა არამარტო მისი პიროვნული თვისებები, არამედ ის ფაქტიც, რომ იყო ი. ბ. სტალინის ყრმობის მეგობარი და ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან, რაც გრძელდებოდა მის გარდაცვალებამდე.

ამ ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდები ფართოდ არის გავრცელებული მოსახლეობაში, ხშირად შეეხვდებით ი ბ. სტალინისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1945 წელს პ. კაპანაძემ გამოაქვეყნა მოგონებათა პატარა წიგნი „ბელადის ბავშვობა და ყრმობა", რომელშიც ასახულია ი. სტალინის გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლებისა და მისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი პერიოდი. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნს შეიძლება ტენდენციურობის რაღაც დაღიც ანდეს (სხვაგვარად წარმოუდგენელიც იქნებოდა), მაგრამ მაინც საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სტალინის ბავშვობის წლებზე. სწორედ ეს გარემოება სძენს ამ პატარა წიგნს მნიშვნელობას, იგი წარმოადგენს სტალინის ბავშობისა და ყრმობის პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტურ წყაროს.

პ. კაპანაძეს ი. სტალინის გაცნობისა და მათან დამეგობრების ამბავს ასე გადმოგვცემს: „1888 წელს იოსებ ჯუღაშვილი და მე ქალაქ გორის სასულიერო სასწავლებელში მივედეს. მე-პირველ მოსამზადებელ კლასში, იოსები კი მეორე განყოფილებაში, რადგან ანბანი იცოდა.

სკოლაში შესვლის შემდეგ დავმეგობრდით, ხშირად ერთად ვიყავით, ჭირი და ლხინი, როგორც იტყვიან, განუყოფელი გვქონდა. ერთი თხილის გული, რომ გვეშოვა ერთმანეთს გავუზიარებდით.

პეტრე კაპანაძე სხვაგან წერს: „პატარა სოსოს მშობლები ღარიბები იყვნენ. ცხოვრობდნენ ქალაქ გორში ნაქირავებ, ძალიან პატარა ოთახში, რომელსაც კარებიც კი არ გააჩნდა და შიგ ფანჯრიდან შეიდიდ-გამოდიოდნენ, დედამისი სიღარიბის გამო იძულებული იყო ემუშავნა, სარეცხი ერეცხა და ისე გამოეკვება პატარა სოსო. მხნეა და გამჭვრეტელი ეკატერინეს, სოსოს დედას, როგორც შვილი ისე ეუყვარდი და დროს ხშირად ვატარებდი მათთან. პატარაობიდანვე ამხანაგის მოყვარულს, მეტად თავაზიანს. გამჭრიახი გონების პატრონს სოსოს უყვარდა სუფთად ჩაცმა. მისი იაფფასიანი მაგრამ კოხტა და სუფთა ტანისამოსი ახლაც მიდგას თვალწინ.

სოსო სასწავლებელში ერთი წლით ჩემზე წინ იყო, მას წერა-კითხვა სკოლამდე ქონდა შესწავლილი. მასთან ერთად 13 წელი ვსწავლობდი და ერთხელ არ მახსოვს ამხანაგებისადმი ცუდად მიემართოს. ვერასდროს ვერ ნახავდით ცალკე, მარტო. სულ ამხანაგების ჯგუფში იყო, თუ არა და კითხულობდა წიგნს, სწავლობდა წარჩინებით...

გორის სასულიერო სასწავლებელი ჩემზე ერთი წლით ადრე დაამთავრა სოსომ და, როგორც წარჩინებული მოსწავლე, გადაგზავნილიქნა თბილისის სემინარიაში.."

„ცამეტი წლისა რომ გავხდი,- იგონებს სიმონ კაპანაძე,- უკვე წერა-კითხვა ვიცოდი. ერთხელ ბატონმა გორში წამიყვანა. იქ ვნახე ჩემი ძმა პეტრე და სოსო ჯუღაშვილი. მათ მომცეს „დედა ენა" და პურის ცომით დააწებეს ერთმანეთზე ფურცლები, სადაც ეწერა ლოცვები და დახატული იყო ღვთისმშობელი პატარა იესო ქრისტეთი და გამაფრთხილეს, რომ ეს ადგილები არ მესწავლა."

„ერთხელ სოფელ აკლევში ხაშურიდან მოვიდა თავის სტრაენიკებით, ყრუ პრისტავი ტერ-აკოფოვი. ამოიღო ქაღალდი და წაუკითხა თავადს და დასძინა: მე მოვედი აღნიშნული პირების დასაჭერად: სოსო ჯუღაშვილი, პეტრე კაპანაძე, დავიდოვი და ორიც სხვა, რომლების გვარები აღარ მახსოვს. ბატონმა უთხრა პრისტავს: მე მინდოდა თქვენთვის სადილი მომერთმია, მაგრამ რადგან მაგისთვის მოხვედით, წადით საიდანაც მოსულხართო. პრისტავმა გაიცინა და უთხრა: მოდი სადილი გვაჭამე და რაც შენ პეტრეში და სოსოში მოიგო, მე ნუ გამიყოფო. თავადმა შეიყვანა სახლში და კარაგდ აქეიფა. სადილის დროს შეეკითხა ბატონი პრისტავს, რათ ეძებდა მოწაფეებს. „აღნიშნული პირები გორის ახლო სოფლების გლეხებში კრებებს მართავენ და მთავრობის საწინააღმდეგოს ლაპარაკობენო," - უთხრა პრისტავმა.

სიმონ კაპანაძის მოგონებაში ნახსენები დავიდოვი მიხეილ დავითაშვილია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ხაშურის რაიონის სოფელ წრომთან. მისი მამა 1880 წლიდან სოფელ წრომში მსახურობდა მღვდლად. აქ გაატარა მიხეილმა ბავშვობა. გორის სასულიერო სასწავლებლის, დამთავრების შემდეგ, 1893 წელს შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში. იმავე წლის დეკემბერში სემინარიაში მოხდა გამოსვლები. სინოდის განკარგულებებით სემინარია დაიხურა, მოსწავლეთა ერთი ნაწილი გაირიცხა სემინარიიდან, ხოლო მეორე ნაწილი თბილისიდანაც გაასახლეს. მ. დავითაშვილი მაშინ პირველი კლასის მოსწავლე იყო. იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა თბილისი და წრომში დაბრუნებულიყო. 1894 წელს მიხეილი კვლავ მიიღეს სემინარიის პირველ კლასში. იგი განსაკუთრებით უახლოვდება თავის თანაკლასელ სოსო ჯუღაშვილს. სოსო და მიშა განუყრელი მეგობრები იყვნენ, ერთ მერხზე ისხდნენ, თავისუფალ დროს ერთად ატარებდნენ, ბევრს კითხულობდნენ და ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ.

1899 წლის ზაფხულში, წრომში, დავითაშვილებთან ხშირად ჩადიოდნენ ს. ჯუღაშვილი და ლ. კეცხოველი და თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სხვა წევრები. აქ აწყობდნენ თათბირებს, სახავდნენ მუშაობის გეგმებს.

ერთი საინტერესო დეტალიც ი. სტალინის ხაშურის რაიონთან ურთიერთობის შესახებ. წრომელებში დღესაც ცოცხლობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ სტალინი თავს აფარებდა წრომის ტაძარს. უფრო მეტიც მიუთითებენ იმ ადგილზე, სადაც იგი იმალებოდა.

გორის სასულიერო სასწავლებელში სოსო ჯუღაშვილისა და პეტრე კაპანაძის სწავლის პერიოდში უმცროს კლასში სწავლობდა სურამელი დავით სულიაშვილი, შემდგომში ცნობილი რევოლუციონერი და მწერალი.

„მთელ სკოლაში,-იგონებდა შემდეგ დ. სულიაშვილი,-იმ დროს ნიჭიერებით, სიმკვირცხლითა და კარგი სწავლით სოსო ჯუღაშვილი გამოირჩეოდა. ვიცით, რომ იგი პირველი მოწაფე იყო და, თუმცა, მისი დედ-მამა სახულიერო წოდებას არ ეკუთვნოდა, კარგი სწავლისათვის თვეში ხუთ მანეთს აძლევდნენ, რაც იმ დროს იშვიათი მოვლენა იყო. იგი ჩემზე რამდენიმე წლით იყო უფროსი.

ერთხელ, დიდი დასვენების დროს, გრძელ დერაფანში რომ დავრბოდით და ვცელქობდით, ამხანაგმა წამჩურჩულა, „აგერ სოსო, აი, ის!..." პირველ შეხედვაზე სოსო როდი მიგიზიდავდა: სიღრმეში წასული, ცქრიალა თვალები ჰქონდა სახეზე კუშტი გამომეტყველება ედო. უბრალო, ფანელის სუფთა ხალათი და წუდაში ჩაცმული შარვალი ეცვა, თავზე კარტუზიანი ქუდი ეხურა. წელზე ბრტყელი ქამარი მუდამ მჭიდროდ ჰქონდა შემოჭერილი, ქონორა თმა შუბლზე ეფინა, მაგრამ როცა დიმილი გააპობდა მის გაფითრებულ ტუჩებს, შეკრული შუბლი გაეხსნებოდა, რწმენისა და იმედის გამომეტყველი მისი სახე მოგხიბლავდა, მიგიზიდავდა."

დავით სულიაშვილი საინტერესოდ მოგვითხრობს სოსო ჯუღაშვილისა და სასწავლებლის მოსწავლეებს შორის ურთიერთობაზე. „მას მუდამ რჩეული მეგობარ-ამხანაგები ჰყავდა და არავის არაფერში ჩამორჩებოდა". – აღნიშნავს იგი. დავით სულიაშვილი კვლავ ხვდება სოსო ჯუღაშვილს თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ იგი ეცნობა მიხეილ დავითაშვილსაც. მოგონებებში ხატოვნად აგვიწერს მათთან ერთად რევოლუციური მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებს, მუშათა მარქსისტული წრეების საქმიანობას და სხვა.

გორის სასულიერო სასწავლებელში დაწყებული მეგობრობა თბილისის სასულიერო სემინარიაშიც გაჰყვათ სოსოს და პეტრეს.

იოსებ სტალინი, როგორც ცნობილია, 1899 წელს თავს ანებებს სემინარიას, ხოლო პეტრე კაპანაძე კიდევ ორი წელი რჩება აქ.

ი. სტალინი სემინარიიდან გამოსვლის შემდეგ, მთლიანად რევოლუციურ მოძრაობაში ემბევა, პეტრე კაპანაძე კი სასულიერო სფეროში აგრძელებს მოღვაწეობას. ცნობილი ფაქტია, რომ პეტრე კაპანაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რევოლუციურ საქმიანობაში, თანაუგრძნობდა რევოლუციონერებს. ეწეოდა რევოლუციურ - სააგიტაციო მუშაობას მოსწავლე-ახალგაზრდობასა და ჯარისკაცებს შორის.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მისი მეგობრის, იოსებ სტალინის გავლენით ხდებოდა. ხაშურის ეკლესია, სადაც პეტრე კაპანაძე მღვდლად იყო, არალეგალური ლიტერატურისა და პროკლამაციების შესანახად საიმედო ადგილად ითვლებოდა. გადასახლებიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში იოსებ სტალინი პეტრე კაპანაძეს წერდა: „ეტე! თქვენებური, სურამელი გადმოსახლებული შემხვდა, მას გკითხე შენს შესახებ... და ძალიან გაქო. მიამბო თქვენს რევოლუციურ მოღვაწეობაზე... ძალიან გამეხარდა, რომ შენმა „პროფესიამ" ვერ შეგცვალა."

1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ახალმა ხელისუფლებამ რადიკალური ღონისძიებები გაატარა მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ: მთელი საქართველოს მასშტაბით იკეტებოდა ეკლესიები, საღვდელოების მიმართ განხორციელდა მკაცრი რეპრესიები. ამ მხრივ არც ხაშურის რაიონი წარმოადგენდა გამონაკლისს.

ეკლესიის მიმართ ქვეყანაში გატარებული ასეთი პოლიტიკის ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ პეტრე კაპანაძემ ანაფორა გაიხადა და თავისი საქმიანობა მთლიანად სახალხო განათლებას დაუკავშირა.

მის ამ ნაბიჯს კარგად შეხვდა ხელისუფლება და ცდილობდა თავისი მიზნებისათვის გამოყენებას.

ეს პერიოდი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა პეტრესათვის და მისის ოჯახისათვის. ამიტომ იგი იძულებულია თხოვნით მიმართოს ადგილობრივ ხელისუფლებას ერთდროული დახმარების სესხის სახით მიცემის თაობაზე.

1923 წლის 16 ივნვარს აღმასკომს განუხილავს პ. კაპანაძის თხოვნა და დაუდგენია: „ვინაიდან მოქალაქე პეტრე კაპანაძემ გაიხადა ანაფორა, რაიც მნიშვნელოვანია და მასთან, როგორც თვითონ, აგრეგე მისი ოჯახი განიცდის უსასტიკეს, ეკონომიური მხრივ სიღარიბეს, ამიტომ მიეცეს... დახმარება სესხის სახით ათი მილიონი (10.000.000) მანეთი კომუნალური განყოფილების სალაროდან." 1923 წლის 22 სექტემბერს აღმასკომი კვლავ მიუბრუნდა პეტრე კაპანაძისათვის გაცემული სესხის საკითხს აღმასკომის დღის წესრიგში განსახილველ საკითხად მითითებულია „პეტრე კაპანაძის განცხადება, რომ 10 მილიონი მის მიერ წაღებული სესხის სახით განყოფილებიდან ანაფორის გახდის დროს ეპატიოს."

აღმასკომის დადგენილებაში აღნიშნულია: „სესხის სახით მიცემული ფული კომ-განყოფილებიდან კაპანაძეზე ანაფორის გახდის დროს 10 მილიონი მანეთი გადატანილ იქმნას მიცემული ჯილდოს სახით და გადახდევინებიდან განთავისუფლებული".

იოსებ სტალინსა და პეტრე კაპანაძეს შორის მეგობრული ურთიერთობის ახალი ეტაპი სწორედ 20-იანი წლებიდან იწყება. ამ დროს სტალინი უკვე მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფოს სათავეშია, პეტრე კაპანაძე კი კვლავ ხაშურშია და მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს ემსახურება.

იოსებ სტალინმა გაიხსენა თავისი სიყრმის მეგობარი და მათ შორის კვლავ აღსდგა ახლო ურთიერთობა. როცა იოსებ სტალინი ჩამოდიოდა საქართველოში, იგი ყოველთვის ხვდებოდა პეტრეს, ხოლო 30-იან 40-იან წლებში თავად პეტრე არაერთხელ იმყოფებოდა სტალინთან მოსკოვსა თუ შავი ზღვის კურორტებზე (სოჭი, გაგრა), სადაც ი. სტალინი ისვენებდა. ხშირ შემთხვევაში პეტრე მარტო სტუმრობდა ბელადს, ხანდახან ყრმობის მეგობრებთან ერთად. პეტრე არაერთხელ ყოფილა კულტურის მოღვაწეებთან, ცნობილ ქართველ მსახიობებთან, მწერლებთან და მეცნიერებთან, ერთად იმყოფებოდა იოსებ სტალინთან.

ყველა ხაშურელი დიდი ინტერესით ელოდა პეტრეს დაბრუნებას შეხვედრებიდან, ყველას, დიდსა თუ პატარას აინტერესებდა ბელადთან მისი სტუმრობის დეტალები. პეტრეც დიდი სიამოვნებით უყვებოდა ყველას თავის შთაბეჭდილებებს და დღეს თაობიდან თაობაზე გადმოცემული ეს შთაბეჭდილებები კვლავ აგრძელებენ სიცოცხლეს.

პეტრე კაპანაძის მონათხრობს დღეს არაერთ ავტორთან შეხვდებით, რომლებიც ი. სტალინზე წერენ. ერთიდაიგივე ეპიზოდი ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა გვარად არის გამოცემული, მაგრამ ყველა ამ ეპიზოდში იგრძნობა ის გულწფელი ურთიერთობა, რაც ხშირ შემთხვევაში ბავშვობის მეგობრებისთვის არის დამახსიათებელი.

სოსო ჯუღაშვილსა და პეტრე კაპანაძეს შორის მჭიდრო ურთიერთობა დროებით 1899 წელს შეწყდა, რაცა სოსომ სასულიერო სემინარიას თავი დაანება. ასე გაგრძელდა თითქმის ორი ათეული წელი სანამ ხელმეორედ არ შეხვდნენ მეგობრები ერთმანეთს: „დიდი ხანია არ მენახა სტალინი, 1926 წელს პირველად შევხვდით ხაშურში" – წერს პეტრე კაპანაძე.

ამ შეხვედრის შესახებ გორის სტალინის სახლ-მუზეუმი ყოფილი დირექტორი 1950-53 წლებში ვანო სავანელი შემდეგს მოგვითხრობს: „სტალინის ამხანაგები ჩემი მასწავლებლები იყვნენ. პეტრე კაპანაძეს ერთხელაც არ უთქვამს, რომ ის სტალინის ამხანაგი იყო. საწყალი, ყოფილი მღვდელი იყო, გაკრეჭილი და ჩვენთან მუშაობდა მასწავლებლად. სულ ეშინოდა დაპატიმრებისა, რადგან ყველა მღვდელი დააპატიმრეს და ორი ნამღვდლევი, პეტრე კაპანაძე და ვიკენტი სხირტლაძე შემორჩნენ სკოლას. ერთხელ პეტრეს სკოლაში ყოფნის დროს უთხრეს, შენთან ორი ჩეკისტია მოსულიო. ყველას ეგონა, რომ დააპატიმრებდნენ. ეს კაცი ძალიან ღარიბად ცხოვრობდა. პეტრემ სთხოვა ჩეკისტებს, რომ ჯერ სახლში გაივლიდა. შეიარა სახლში, პური და ყველი შეახვია და ისე წავიდა სადგურში, სადაც სპეციალურ ვაგონში სტალინი და ორჯონიკიძე იმყოფებოდნენ. იქ შეხვდა სტალინს დიდი ხნის შემდეგ, თავისი ძველი საუკეთესო მეგობარი. გადაეხვია, გადაკოცნა. სტალინმა გამოკითხა ყველაფერი



და შემდეგ ბერიას დაავალა, რომ ყურადღება მიექცია მისი ოჯახისათვის". ვაჟა აბრამაშვილი ამ შეხვედრის შემდეგ ვარიანტს გვთავაზობს: „ძველი მეგობრების შეხვედრა მეგობრული და ღიმილის მომგვრელიც კი იყო. მოვუსმინოთ თვითმხილველს: საქართველოში გასაბჭოების პირველი ათწლეული თუ ვინმეს რისხვად დაატყდა თავს, ეს სამღდელოება იყო, რომელსაც არაერთი მათი წარმომადგენელი შეეწირა. ასეთივე ამბავი ხდებოდა ხაშურში, სადაც ცხოვრობდა პეტრე კაპანაძე, იმ დროისთვის გაკრეჭილი ნამღვდლევი. მღვდლებს იმ დროს ძალზე უბრალოდ ხვრეტავდნენ, იგი კი კვლავ განიცდიდა ხელისუფლების უნდობლობას და დევნას. იმ დროისათვის კი დევნასა და დახვრეტას შორის ძალზე მცირე მანძილი და დრო იყო. და აი, ერთხელ, 1926 წელს, საღამო ხანს კაპანაძეების ოჯახს „ფანკას" მანქანით ორი თანამშრომელი მიადგა. პეტრე კაპანაძეს თხოვეს სასწარაფოდ ჩაეცვა და გაპყოლოდა მათ. ჩაიცვა, მეუღლემ თავშალში პური და ყველი შეუხვია, ჩასხდნენ მანქანაში. პეტრეს შეკითხვაზე თუ სად მიპყავდათ იყო ერთი პასუხი; სადგურზე. „ალბათ მასახლეებენ, ან ... „ – უტრიალებდა თავში აზრი. გავიდნენ ბაქანზე, ორ მატარებელს შუა მიდიან, წინ გამოჩნდა ერთვაგონიანი სპეცშემადგენლობა. ვაგონის ღია კიბიდან სჩანს ნაცნობი სახე, ულვაშები, ქონორი, ღიმილი, „სოსოა." ამის გაფიქრება მოასწრო და ხელი იგრძნო თავშალი, მასში გამოხვეული პური და ყველი. შერცხვა და თავისდაუნებურად ვაგონის ქვეშ, ვითომდა სხვების შეუმჩნეველად შეაგდო ზედმეტი ტვირთი. დიდი ხნის უნახავი მეგობრების შეხვედრა გულიანი იყო. შევიდნენ ვაგონში, სოსო ეკითხება პეტას, იქ ვაგონის ქვეშ რა შეაგდე თუ ძმა ხარ მითხარი. პეტა მოუყვა ყველაფერს, სოსომ ბევრი იცინა, იცინოდა პეტაც, მაგრამ ვაი ამ სიცილს, იგი ცრემლნარევი, მაგრამ სიხარულის იყო.

პეტა სახლში გააგებინე, რომ ჩემთან ხარ, ცოტახანი ერთად ვიყოთ, ხეობაში დავისვენოთ,- თქვა სტალინმა. თითქმის ერთი თვე ერთად იყვნენ. ჩვენ ამ მეგობრული ტკბილი დღეების მხოლოდ დასასრული ვიცით, პეტრე კაპანაძის მონაყოლი, მოკლედ, ძალიან მოკლედ.

-პეტა, წამოდი ჩემთან მოსკოვში, ჩემს გვერდზე იქნები, ჩემთან იმუშავებ, -ეუბნება სტალინი.

- სოსო, ამას რა სჯობია, მაგრამ არ შემიძლია, ხომ იცი, წერილშეილი ვარ (ამბობს ექვსი შვილის მამა), ძალზედ ძნელია ჩემთვის, - სინანულით პასუხობს პეტა.

- აბა იყავი, შენს ტალახიან ხაშურში,-იცინის სოსო, - ერთი მანქანა „ხორხი" უნდა გაჩუქო, - დაუმატა მან.

- არა, სოსო, აბა მე ვერ გამოვიყენებ, ხომ იცი ნამღვდლევი ვარ, ხაშური პატარაა, ყველა მიცნობს, ხალხი ჭრელია, დამისტვენენ.

- აბა იარე ფეხით, - კვლავ იცინის სოსო.

მეორედ რომ დაგიბარებ თავშალში შეხვეული პური და ყველი არ დაგავიწყდეს. სიცილი, ტკბილი მეგობრული სიცილი. ახალგაზრდობის გახსენება.

თავად პეტრე კაპანაძე სიყრმის მეგობართან 1926 წელს ხაშურში შეხვედრას ასე გაიხსენებს: „... აკრძალული ლიტერატურის კითხვისა და „საეჭვო" საქმეებისათვის სოსო გარიცხეს სემინარიიდან. სემინარიიდან გარიცხვის შემდეგ მუშაობა თბილისის ობსერვატორიაში დაიწყო, განაგრძო რევოლუციური მუშაობა და ჩაუდგა მას სათავეში.

ამ ხანებში სოსოს დედა ეკატერინე შემომხვდა და გულნატკენმა განმიცხადა – სოსო წერილებს აღარ მწერსო, მეც დავაიმედე, რომ ვინახულებდი მას ამ საქმეზე და ვუსაყვედურებდი კიდეც. ამ მიზნით მალე სოსოს სანახავად შევიარე ობსერვატორიაში, სადაც შემომხვდა იქ მომუშავე სემინარიელი ვასო ბერძენიშვილი. სოსოს ამბავი გამოვკითხე, ვასომ მითხრა: – გუშინ სოსომ ერთი ფეხით გაასწრო და პირდაპირ ფანჯრიდან გაექცა ჟანდარმერიასო.

ეს იყო და ეს, სოსო ამხანაგებში მას შემდეგ ლეგალურად აღარ ჩნდებოდა. გავიდა ათეული წლები, აღარც მე მინახავს...

თამაზ ლაცაბიძე

(დასასრული მომდევნო ნომერში)

მემკვიდრისა და მემკვიდრეობითობის საკითხი ,,ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", მსოფლიო პოეტური ხელოვნების ერთ-ერთი შედევრი, აღმოსავლური ყაიდის პოემაა, რომელშიც სადევგმირო და სატრფიალო მოტივები უმთავრესია, მაგრამ პოემის დიდი ღირსება ისიც არის, რომ არაერთ სხვა მნიშვნელოვან საკითხს ეხება და ამ მხრივაც ახალ სიტყვას ამბობს და თანაც არამარტო ქართულ სინამდვილეში.

სწორედ ერთი ასეთი საკითხთაგანია მემკვიდრისა და მემკვიდრეობის ურთულესი პრობლემა.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობაში არსებობდა ორგვარი მიდგომა: მაიორატული და მონორატული. პირველი ნიშნავს უფროსი შვილის უპირატესობას მემკვიდრეობის მიღებისას, ხოლო მეორე-უმცროსის უპირატესობას. ზოგ ქვეყანაში ერთი წესი იყო მიღებული, ზოგან - მეორე. ჩვენს სახელმწიფოში უზრუნველყოფილი იყო მაიორატული მიდგომა. ესე იგი სამეფო მემკვიდრეობაში უპირატესობა ეკუთვნოდა (ყველა სხვა თანაბარ პირობებში) უფროს ძმას, მემკვიდრეობა ჩვეულებრივ მამიდან შვილზე გადადიოდა უფროსი ძმის უპირარტესობის დაცვით, ამ წესის დარღვევა დიდ დანაშაულად და ღვთისა და კაცის წინაშე საშინელ მკრეხელობად მიიჩნეოდა.

ყველაფრიდან ჩანს, რომ რუსთველი იზიარებდა ამ მიდგომას. პოემაში ეს აზრი პირდაპირ ფორმულასავით არის ჩამოყალიბებული. მივაქციოთ ყურადღება ამბის დასაწყისის ერთ ეპიზოდს: როსტევანმა თინათინი ტახტზე დასვა. მოკრძალებულ ქალიშვილს ამ პატივის ღირსად თავისი თავი არ მიაჩნია. მამა კი არიგებს და შეახსენებს არსებული საყოველთაო წესს, კანონს, რომ, ჩვეულებრივ, მამის საქმე მისმა შვილმა უნდა განაგრძოსო. აი, რას ეუბნება სკიპტროსანი ქალიშვილს: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა". მაშასადამე, მამის საქმე უსათუოდ მის ძეს, მის შვილს უნდა გაეგრძელებინა. „ძე" ყველგან ნიშნავს უბრალო რაიმეს - შვილს. მაშასადამე, როსტევანი რომ ვაზირთ ეუბნება „ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია" იმას კი არ ნიშნავს, ჩემი მემკვიდრე დავსვათ პატრონადო, არამედ იმას, რომ მეფედ ჩემი შვილი (იგივე ძე) დავსვათო.

შემთხვევითი როდია, რომ ძე ღღესაც ისე გვესმის, როგორც გვესმოდა რუსთველის დროს - შვილი.

თინათინმა ტირილი სწორდ ამ ახსნა-განმარტების შემდეგ შეწყვიტა. მან იცის, რომ საზოგადო წესის წინააღმდეგ ვერ წავა - მამის საქმე შვილმა უნდა განაგრძოს, განავითაროს, შეითავსოს, მიიღოს და გაითავისოს.

ეჭვი არაა, ანალოგიური წესი მოქმედებს მეორე სახელმწიფოშიც. ესაა ინდოეთი. ფარსადან მეფეთმეფეს სამეფოდ საკუთარი ძე, ანუ ნესტანი, დაუსახავს. ერთ ეპიზოდში თავის მეუღლეს, დედოფალს ეუბნება: რაკიღა მე და შენ სამეფოდ ჩვენი ქალიშვილი გვინდა, ღღეს, როცა დიდი ზეიმი გვაქვს (ხატაეთის დამორჩილება ინდოეთის მიერ არის დიდი საზეიმო ამბავი), თანაც ჩვენმა ქალიშვილმა სამეფოდ წვრთნის მთელი კურსი წარმატებით გაიარა (მას ზრდიდა სიბრძნით სავსე დავარი) აი, სწორედ ახლა პირველად ვაჩვენოთ საზოგადოებას ნესტან-დარეჯანიო. აი, ეს სტრიქონები:

„რადგან ქალია სამეფოდ ჩვენგანვე სახელ-დებული,
ვინცადა ნახავს, აწ ნახოს, აჰა ხე, ედემს ხებული,
გვერდსა დაისვი, ორნივე სრას დამხვდით, მოვალ შვებული!"

ამრიგად, ფარსადანიც როსტევანის დარად, თავის ქალიშვილს მიიჩნევს მემკვიდრედ და მამის საქმის გამგრძელებლად.

ორივე სახელმწიფოში ვითარება ერთნაირია იმ მხრივ, რომ მამა-მეფეებს, ასევე მთელ საზოგადოებას ძე, ანუ შვილი, მამის საქმეებისა და ქონების მემკვიდრედ მიაჩნიათ და აქ არა აქვს მნიშვნელობა, შვილი რომელი სქესისაა, ვაჟია თუ ქალი. არაბეთსა და ინდოეთში ისე მოხდა, რომ ორივე ხელმწიფეს შეეძინათ გოგო და არა ბიჭი.

საერთოდ, რუსთველი რეალისტია, არ ტყუის და არ გვატყუებს. მან იცის ის, რაც ჩვეულებრივი ამბავია: ყველა მეფეს (და არა მარტო ხელმწიფეს, უბრალო გლეხკაცსაც კი!) ურჩევნია, თუ მემკვიდრედ ეყოლება არა გოგო, არამედ ბიჭი.

ამიტომაც მოხდა, რომ თინათინის გამეფებასთან დაკავშირებულ ნადიმზე როსტევანს სევდა მოერია. როცა ჩაეძიენ, თუ რა იყო მიზეზი, აღიარა: რაც უნდა იყოს, თინათინი მაინც ქალია და სახელმწიფო ლაშქარს წინ ვერ წაუძღვება. აი, ეს მიმძიმსო. იგი აღიარებს:

ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა". სხვა მხრივ კი, რაღა თქმა უნდა, ქალი ისევე გასწევს მეფობას, როგორც კაცი. ამ თვალსაზრისით მეფეთა შვილებში თანასწორობაა. აფორიზმიც ამას ჩაგვაგონებს: „ლეკვი ლომისა სწორია, ჟუ იყოს, თუნდა ხვადია". მაშასადამე, ეს აფორიზმი საზოგადოდ კაცისა და ქალის თანასწორობას კი არ ქადაგებს, არამედ მეფეთა შვილების თანასწორობას. ლომი ნადირთა მეფეა, ლომის ლეკვებია თანასწორი და არა მგლის ან დათვისო.

ეს რომ ასეა, სწორედ ამაზე მეტყველებს როსტევანის დადარდიანება თინათინის მეფედ დასმის ღღეს. ესე იგი, ხელმწიფეს მაინც მიაჩნია, რომ ვაჟი მემკვიდრე და ქალი მემკვიდრე არ არიან თანასწორნი. ოღონდ ეს არ ეხება საზოგადოდ ადამიანის კულტურულ გაგებას. ამ ასპექტით ძე და ხვადი თანაბარღირებულია.

საგულისხმოა შემდეგი რამ: როცა ამა თუ იმ მეფეს უფროსი შვილი ქალიშვილი ჰყავდა, ხოლო უმცროსი-ვაჟი, იქ არასოდეს მდგარა პრობლემა-რომელს უნდა რგებოდა ტახტი. აქ ვაჟი უალტერნატივო იყო. აქედანაც მტკიცდება, რომ სრული მემკვიდრეობითი თანასწორობა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო - ვაჟი მემკვიდრე სჯობდა ქალ მემკვიდრეს. ეს მჯობინობა კარგად გამოჩნდა როსტევანის სადარდელში.

ასე რომ, ამ მხრივ რუსთველი რეალისტზე რეალისტია. ის ჩვენ თვალწინ არ თვალთმაქცობს და ამას მკითხველიც აფასებს.

არაბეთში ქალი მემკვიდრის გამეფებას რაიმე პრობლემა და გართულება არ მოჰყოლია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ როსტევანს მაინც გული ეთანაღრება.

სულ სხვა ვითარება იყო ინდოეთის სამეფო კარზე. აქ ისე აეწყო საქმე, რომ პრეტენდენტი ორია: ასაკით უფროსი, თანაც ვაჟი ტარიელი და ასაკით უმცროსი, ქალი ნესტანი. ორივეს თავ-თავისი უპირატესობა აქვს. ნესტანს ის, რომ იგი პირდაპირი და უთუმცაო მემკვიდრეა. ფარსადანი მისი ნამდვილი მამაა და არა მამობილი. ნესტანი ისევე კანონიერი მემკვიდრეა, როგორც თინათინი არაბეთში.

ამ მხრივ მას აქვს უპირატესობა, მაგრამ ტარიელსაც აქვს თავისი უპირატესობა: იგი ვაჟია. აქ გამორიცხულია „როსტევნის დარდები". ის შესანისნავი კანდიდატია. აქვე გავიხსენოთ, რომ ისიც სამეფო ჯიშ-ჯილაგისაა. მამამისი სარიდანი ინდოეთის მეშვიდე სამეფოს განმგებელი იყო და მის შვილსაც სრული უფლება აქვს ტახტზე. მისი ნაკლი მხოლოდ ის არის, რომ უზენაესი მეფეთმეფის შვილი არაა, ოღონდ ამას ის აკომპენსირებს, რომ ფარსადანს იგი ნაშვილები ჰყავდა და ადრე სამეფოდაც კი ზრდიდა. ამრიგად, ტარიელის უპირატესობა საჩინოა: 1. ის მეფის შვილია და ინდოეთის ტახტზე მის პრეტენზიას წინ ვერავინ აღუდგება; 2. პატარაობიდანვე იშვილა იგი მეფეთმეფე ფარსადანმა, რომელმაც, ფაქტობრივად, წაართვა შვილი სარიდანს, რადგან მაშინ საკუთარი არა ჰყავდა, და სამეფოდ გაზარდა. 3. ამავდროულად ტარიელი ვაჟია, ყმაწვილი და ყველამ იცის, ტახტზე ვაჟკაცის ჯდომა უმჯობესია; 4. კიდევ ერთი უპირატესობა ისაა, რომ ინდოეთში მომხდარი დიდი აურზაურის კვირაძალზე სარიდანის ძემ ხატაეთში ბრწყინვალედ ისარდლა და მთელ ქვეყნიერებას დაუმტკიცა ვაჟკაცობაც, გონიერებაც, სულგრძელობაც, პატრიოტიზმიც. ერთი სიტყვით, უჩვენა, რომ ნამდვილი სამეფო კაცია და ეს მთელმა ქვეყანამ დაინახა; 5. ტარიელს აქვს კიდევ ერთი უპირარტესობა, რომელიც მის წინას ერთიათად ზრდის, ოღონდ ეს უპირატესობა მას მიანიჭა მამამისის უანგარო პატრიოტობამ. კერძოდ, სარიდან მეფემ, მამამისმა, თავის დროზე გვირგვინი მოიხადა და თავისი სამეფო ფარსადანის ექვს სამეფოს შეუერთა, საშვილიშვილო გმირობა ჩაიდინა და მამულის გაერთიანება დაასრულა.

ასე რომ, ტარიელის სახლობას ინდოეთის ცენტრალიზაციაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. მაშ, ტარიელის „მზითევი" სამეფო კარზე წარმოუდგენლად მდიდრული და ფასდაუდებელია.

მაშასადამე, ინდოეთის ტახტზე ფარსადანის შემდეგ ორ პირს აქვს პრეტენზია: ნესტანსა და ტარიელს. მართალია, ღვთისა და კაცის წინაშე, ტახტი ტარიელს უფრო ეკუთვნის და საქმისათვისაც ასე სჯობს, ოღონდ ადამიანის ეგოისტური გრძნობიდან გამომდინარე, ნესტანის შანსს ზრდის ის, რომ ამჟამინდელი ბატონ-პატრონი ტახტისა ფარსადანია და მას შეუძლია „საკუთარ შვილს მხარი დაუჭიროს.

ამის გამო შანსები თანაბრდება.

ვითარებას კარგად გრძნობს მეტად გონიერი და ბრძენი ნესტანი. ის პირველი წამოჭრის ამ საკითხს და პრობლემის გადაჭრის გზასაც პოულობს. და ეს გზა სამართლიანიცაა, სასიამოვნოც და ყოველმხრივ პრაგმატულიც ის ტარიელს ეუბნება: „მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძეს-სძლობასა!"

- გენიალური გამოსავალია!

ორივე თანაბარი კანდიდატია" მათ ერთმანეთი უყვართ: მათი შეუღლებით პრობლემაც წყდება და თან იქმნება ოჯახი, რომელსაც საფუძვლად თავისუფალი და უანგარო სიყვარული უძევს.

მაგრამ ადამიანის გული „გაუძღომელი" და დაუკმაყოფილებელია. ამ გაუმაძღრობას კიდევაც აღნიშნავს და კიდევაც ემობს რუსთველი, როცა ამბობს:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გული - უამჟამად ყოველთა ჭირთა მომო, ლხინთა მნდომელი,
გული - ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,
ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი:

აი, სწორედ ასეთი „გაუძღომელი", ხარბი და კრული გული აღმოაჩნდა ფარსადან მეფეს. მან შესანიშნავად იცოდა, რა სიყვარულის ცეცხლი ენთო ახალგაზრდების გულში, ოღონდ თავისი შორსმიმავალი გეგმა ვერ დათმო: მას ეწადა თავისი ისედაც დიდი სახელმწიფო-იმპერია კიდევ მეტად განევრცო რომელიმე სხვა სახელწიფოს ხარჯზე. ამ მიზნით განიზრახა, დამოყვრებოდა ხორეზმის სახელმწიფოს პატრონს - ხორეზმშაჰს (ხორეზმის შაჰს).

ძველად ეს ჩვეულებრივი რამ იყო. დინასტიური ქორწინება სწორედ პრაგმატიზმს ეფუძნებოდა. ვინ დაგიდევდა პირად გრძნობას! მეფის ქალიშვილი უნდა გათხოვილიყო პოლიტიკური მიზნის შესაბამისად; ვაჟს უნდა მოეყვანა ის ქალი, რომელიც იმჟამად ქვეყნისთვის უფრო მომგებიანი და სასარგებლო იყო.

ამ თვალსაზრისით ერთნაირი ვითარებაა ინდოეთშიც და ხორეზმშიც. დავაკვირდეთ ერთ გარემოებას: ფარსადანი არც კი ეკითხება აზრს თავის ასულს, უნდა თუ არა ხორეზმის მეფის ვაჟი ქმრად. ფარსადანი ამ საკითხს თვითონ ჭრის მეუღლესთან ერთად. ფაქტს ნესტანი საგანგებო სამეფო თათბირის მერე იგებს; ხორეზმის შაჰიც არაფერს ეკითხება თავის ვაჟს, ის, აძლევს მოყვრობის პირობას ფარსადანს. მაშასადამე, ხორეზმელი ხელმწიფე არც რძალს ნახულობს, ისეა მზად, თავის ვაჟს უბრძანოს და შერთოს უნახავი ასული.

ამის გამო შეყვარებულ წყვილს სხვა გზა არ დარჩენია გარდა უნახავი და უსახელო სასიძოს, ხორეზმის უფლისწულის მოკვლა და გზიდან მისი ისე ჩამოშორება. ასე გადაარჩინეს მათ არა მარტო სიყვარული, არამედ უფრო მნიშვნელოვანი რამეც - ინდოეთის დამოუკიდებლობა.

ახალგაზრდები მართებულად ფიქრობენ; ფარსადანი ტყუედება. ხორეზმელის ტახტზე მოწვევა ინდოეთს კი არ დაუმორჩილებს ხორეზმს, არამედ პირიქით: ხორეზმელები ჩაიგდებენ ინდოეთის მართვის სადავეებს ხელში და, ფაქტობრივად, უომრად დაიპყრობენ ქვეყანას. გარდა ამისა, ნესტანი და ტარიელი კარგავდნენ ქვეყანასაც, მემკვიდრეობასაც და სიყვარულსაც. ეს კი უკვე უბრალო სამეფო მემკვიდრეობა კი აღარაა, არამედ უფრო მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც შეიცავს პატრიოტიზმსაც, ღირსებასაც და სიყვარულსაც.

ამ ფასდაუდებელი მემკვიდრეობის გადასარჩენად ისინი წავიდნენ კაცის მოკვლის საშინელებაზეც კი. მათ კისრად იღეს ადამიანის სისხლი, თუმცა თავს ცნობილ აფორიზმით იმშვიდებენ „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად".

რუსთველი ბედნიერების დამკვიდრების მოწადინეა. ის ოპტიმისტია და პოემას გმირების გამარჯვების (და არა დამარცხების) ჩვენებით ამთავრებს.

რა არის უცენტრალურესი გმირების - ტარიელი და ნესტანი - მთავარი საქმე?

ეს, ეჭვი ნურავის შეეპარება, არის მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება. მათი მემკვიდრეობა კი იყო ინდოეთის ტახტი. მათ იბრძოლეს ამ მემკვიდრეობის ხელყოფის წინააღმდეგ, გაიმარჯვეს და შეინარჩუნეს ის, რაც ერგებოდათ. ამას კი მიესალმება ავტორი, რომელიც სიხარულით აღნიშნავს:

„ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი შვიდი ტახტი სახელმწიფო, საშვებელი გაუცდელი".

სახელმწიფოებრივი ანუ კონსტიტუციური აზროვნებისთვის სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისთვის მხოლოდ დავითისა და თამარის დროს თუ მოიცალეს, მანამდელი და მათი შემდგომი პერიოდები არსებითად ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართველი ერის სახელმწიფოებრივი და ეროვნული გადარჩენის საქმეს ხმარდებოდა.

დავითისა და თამარის ეპოქაში სახელმწიფოებრივი, კონსტიტუციური აზროვნება კარგად ართმევდა თავს ძლიერი სახელმწიფოს ფუნქციონირებას. მართალია, იმ პერიოდში არ არსებობდა კონსტიტუცია, როგორც ერთიანი კოდიფიცირებული, სისტემაზირებული, კრებულის სახით, როგორიც ღღეს გვაქვს, მაგრამ არსებობდა წერილობითი ძეგლები, რომლებიც შეიცავდნენ იმ ნორმებს, რაც კონსტიტუციაში უნდა ყოფილიყო ასახული და გათვალისწინებული.

მემკვიდრეობისა და მემკვიდრეობითობის ძირითადი უფლება განიხილება, როგორც საკუთრების ძირითადი უფლების ერთ-ერთი კომპონენტი, რომელსაც იცავს სახელმწიფოს ძირითადი კანონი კონსტიტუცია: კერძოდ, კონსტიტუციის XXI მუხლის პირველ პუნქტში წერია: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია, დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება".

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ კონსტიტუციურ ნორმას ჯერ კიდევ 850 წლის წინათ იცავდა და განამტკიცებდა დიდი შოთა რუსთველი თავის უკვდავ პოემაში „ვეფხისტყაოსანში" მემკვიდრისა და მემკვიდრეობითობის საკითხის გადაჭრით.

ამრიგად, რუსთველი გვიხატავს ნამდვილ, ჭეშმარიტ მემკვიდრეებს სამეფო ტახტისა. ესენი არიან თინათინი, ნესტანი, ტარიელი - ისინი ცდილობენ კუთვნილი მემკვიდრეობა შეუბღალავად შეინახონ, ხოლო ხელყოფის შემთხვევაში გმირულად იბრძოლონ მისი შენარჩუნებისათვის და ამ მხრივ არ შებღალონ სამართლიანობა.

ყოველივე ეს მიუთითებს შოთა რუსთველის მაღალ სახელმწიფოებრივ, კონსტიტუციურ აზროვნებასა და კულტურაზე.

ამირან კურტანიძე
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი, სამართლის პროფესორი

აი, რა შეუძლია ენთუზიაზმს და მშობლიური ქალაქის სიყვარულს

წუხილი მხოლოდ იმაზე, რომ რაღაცის საკეთებლად მხოლოდ ფულია საჭირო, არ იქნება გამართლებული. ვეც იმას დავეთანხმები, რომ ფულის გარეშე შეიძლება დიდი საქმის მხოლოდ

მონდომებითა და ენთუზიაზმით კეთება, მაშინ, როდესაც ყველაფერს თავისი ფასი ადევს. იდეალური ვარიანტი ორივეს ერთად ქონას გულისხმობს. პათეტიკამ შორს რომ არ წაგვიყვანოს და სათქმელს არ დავშორდეთ, ა(ა)იპ "სავანეს" ერთ ძალიან კარგ წამოწყებაზე გიამბობთ, სადაც თანამშრომელთა ერთიანობას და ენთუზიაზმს ქალაქის და კერძოდ, გორგასლის ქუჩის დასახლებისთვის სასიამოვნო გარემოს შექმა შეუძლია. მეორე წელია"'სავანეს" მფლობელობაში არსებული ტერიტორია, რომელიც წლების განმავლობაში ქალაქის ცენტრალურ ნაგავსაყრელს წარმოადგენდა,სუფთავდება,ირგვება ხეები,იწმინდება და კულტურულ სახეს იღებს. დიდი მონდომებით და საკუთარი ძალებით შრომობენ ერთ ოჯახად გაერთიანებული თანამშრომლები. აქ არ აქვს მნიშვნელობა ჩემ და სხვის საქმეს-საქმეც საერთოა და შედეგსაც ერთად მიიღებენ-ადგილობრივ მოსახლეობას ექნება სკვერი, სადაც დასვენებას და დღის სასიამოვნოდ გატარებას შეძლებენ.

გიორგი ზღუდაძე ("სავანეს" თანამშრომელი):

–ეს ადგილი წლების მანძილზე ნაგავსაყრელად იყო ქცეული. გადავწყვიტეთ, დაგვეს უფთავებინა და ისეთი ადგილი გაგვეკეთებინა, სადაც აქ მცხოვრები მოსახლეობა დასვენებას შეძლებდა. დაახლოებით 100 მანქანა საყოფაცხოვრებო ნარჩენები გავიტანეთ საკუთარი ძალებით. დიდი დახმარება გაგვიწია მაშინდელმა დეპუტატმა, ვალერი გელაშვილმა. გადავასწორეთ, დავრგეთ ხეები, რომლებმაც უკვე გაიხარა. ნაწილობრივ შემოვღობეთ ეს ტერიტორია, რომ უფრო დაცული ყოფილიყო.

- რა ფართობია „„სავანეს" მფლობელობაში?

–მთლიანობაში ეს ფართობი 3 ჰა-მდეა, რომელიც ა(ა)იპ-ი "სავანეს" საკუთრებას წარმოადგენს. დაახლოებით 20 მეასედზე ტბა კეთდება, 1 ჰა-ზე - სკვერი, 15 მეასედზე ვენახი, გარდა ამისა, გვაქვს სანერგე მეურნეობა, სადაც 7-8 სახეობის ყვავილის ჯიშები გამოგვყავს, რითაც ლამაზდება ჩვენი ქალაქი, დიდი ფართობი უკავია ძაღლთა პოპულაციის ცენტრს. ჩვენი სურვილია, ნაგავსაყრელად ქცეული ადგილი გვექცია რეკრეაციისა და დასვენების ადგილად. დაახლოებით 100 ნერგი დავრგეთ, სხვადასხვა სახეობის ხეების, რომლებიც ჩვენივე სანერგე მეურნეობაში გამოვიყვანეთ. ძირითადად დეკორატიული ხეებია: საპნის ხე, თელა, ცაცხვი, ნეკერჩხალი. სამომავლოდ ბევრი რაღაცის გაკეთება შეიძლება, რაც დამატებით თანხებს მოითხოვს, რისი შესაძლებლობაც ამ ეტაპზე არ გვაქვს. რაც ჩვენს შესაძლებლობაშია, თავს არ ვზოგავთ.

ენგური ნინიაშვილი ("სავანეს" გამწვანების მთავარი სპეციალისტი)

–მცირე ბიუჯეტი არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ წელსვე დავასრულოთ პარკის კეთილმოწყობა. მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია, უხარიათ, როცა დასუფთავებულ გარემოს ხედავენ. მოდიან, გვაქებენ. ისიც დიდი დახმარება იქნება, თუ გაუფრთხილდებიან იმას, რასაც მათივე სიამოვნებისთვის ვაკეთებთ.

- როგორც ვხედავ, ქალაქს ახალი საყვავილეები შეემატება...

–ეს საყვავილეებია ქალაქში გაზონების გასალამაზებლად. თვითონ გავაკეთეთ ყალიბები და ჩამოვასხით საყვავილეები, ლამაზიცაა და ვფიქრობთ, უფრო დაცულიც იქნება ყვავილი, თუ სპეციალურად არ გააფუჭა ვინმემ. შეიღებება და ქალაქში სხვადასხვა ადგილას დაიდგმება, რაც ერთიორად გაალამაზებს ჩვენი ქალაქის იერსახეს

- დაფინანსების წყარო რა შეიძლება იყოს?

–ჩვენი აზრით, დაინტერესება შეიძლება უფრო კერძო სექტორიდან იყოს. სამშენებლო მასალები გვჭირდება, ეზოს შემოღობვა, გზის მოპირკეთება, დეკორატიული მცენარეები. მთელი სამსახური ვართ ჩართული, ძალისხმევას არ ვიშურებთ, ჩვენი სამსახურეობრივი ფუნქციიების მიუხედავად, ყველა ერთ საქმეს ვაკეთებთ, ერთი, საერთო მიზნისთვის.

თ. ჯავახიშვილი

გადაეცათ საარდგომო საჩუქრები

ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ "ხაშურსერვისის" თანამშრომლებმა, რომლებიც ყოველდღიურად ქალაქის იერსახის მოწესრიგებაზე ზრუნავენ, საარდგომო საჩუქრები მიიღეს.

საკვებ პროდუქტებთან ერთად, "ხაშურსერვისის" თანამშრომლებს ახალი სპეცფორმებიც გადაეცათ.

-გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ა(ა)იპ "ხაშურსერვისის" ხელმძღვანელს, ნუკრი ცხოვრებაძეს, მუნიციპალიტეტის გამგებელ, გიორგი გურასპაშვილს და მთლიანად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ჩვენი შრომის დაფასებისთვის და ყველა ხაშურელს მივულოცოთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, - აღნიშნეს ჩვენთან საუბარში "ხაშურსერვისის" თანამშრომლებმა ეთერ ნოზაძემ, ლალი ბიქოშვილმა და იამზე მაჭარაშვილმა.

მართლაც, მისასალმებელია, როდესაც ადამიანთა შრომა ფასდება.

ასეთი ყურადღება კი ყოველთვის დიდი სტიმულია ნებისმიერისათვის.

შეხვედრა ''მკითხველთა კლუბში''

ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრში,"მკითხველთა კლუბის" ხელმძღვანელმა, ნინო დოფიძემ კლუბის წევრებთან ერთად გამართა შეხვედრა -"საბავშვო წიგნის დღე". კლუბის სტუმარი გახლდათ საქართველოს საპატრიარქოს, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა – პანსიონის რელიგიის პედაგოგი ლევან ლაცაბიძე, რომელმაც წარადგინა წიგნთაწიგნი "ბიბლია" და საინტერესოდ ესაუბრა ბავშვებს წიგნის შესახებ. კლუბის ტრადიციული, დღევანდელი ლიტერატურული გამოწვევის წარმდგენი გახლდათ, კლუბის წევრი – მარიამ მჭედლიშვილი, რომელმაც წარადგინა საყვარელი წიგნი – „ათასერთი ღამე".

კლუბის შეხვედრას ესწრებოდნენ: ცენტრის მენეჯერი ალექსანდრე ჯოჯიშვილი, ცენტრის თანამშრომლები და ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო კიკნაძე

- სენსაცია, რომელმაც სრულიად საქართველო ააფორიაქა -

მფრინავი ჰამაკი ხაშურის თავზე

წინა კვირას სოციალური ქსელები პირდაპირ ააფეთქა ვიდეოკადრებმა, სადაც ჰამაკში ნებივრად ჩაწოლილი უცნობი პიროვნება პირდაპირ დაფრინავდა ხაშურის თავზე. ყველას მოეხსენება, სოციალური ქსელით რა უსწრაფესად ვრცელდება ინფორმაცია და ფაქტიდან სულ რაღაც ნახევარ საათში არა მარტი ხაშური, არამედ სრულიად საქართველო ამ მოვლენაზე საუბრობდა. ასეულობით თვითმხილველი „უტყუარი მტკიცებულებებით" არწმუნებდა ყველას, რომ ჰამაკში ნამდვილად ადამიანი იმყოფებოდა, თუმცა მათი არგუმენტები უმრავლესობისათვის მიუღებელი იყო. მოკლედ, მთელი დღის განმავლობაში სხვა ინფორმაციებმა აბსოლიტურად დაკარგა აქტუალობა და მთავარ „ბომბად" სწორედ „ჰამაკიანი კაცი" იქცა. სულ ჩქარა მოინახა დრონების (მცირე საფრენი აპარატი) სპეციალისტი და მისი განმარტებებიც გამოჩნდა. გიორგი დანელიას განმარტებით, დრონზე გამობმულ ჰამაკში ადამიანის ყოფნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ამგვარ დრონს ვინმე საკუთარი ხელით ააწყობს, ან არსებული მოდელის დრონების მოდიფიცირებას მოახდენს და მასზე დამატებითი სიმძლავრე იქნება გამომუშავებული. სხვა მხრივ, შეუძლებელია ისეთი ქარხნული დრონის შეძენა, რომელიც ადამიანის წონას დაძლევს, რადგან მისი ფუნქცია, ძირითადად, ვიდეოკამერის გადაადგილებაა.

ამ ფაქტიდან მეორე დღეს სოციალური ქსელის მომხმარებლები კიდევ უფრო „აფორიაქდნენ", რადგან გავრცელდა კიდევ ერთი ვიდეო, რომელშიც ჰამაკში მწოლიარე ადამიანის ხელის მოძრაობაც ჩანდა. სავარაუდოდ კი, მას ბოთლი ეჭირა ხელში.

ასე იყო თუ ისე, ორიოდ დღეში ყველაფერი გაირკვა და სოციალურმა ქსელებმაც „ამოისუნთქა". საქმე სარეკლამო კლიპს ეხებოდა, რომლითაც ლუდის პოპულარიზაცია უნდა მოხდეს და ჰამაკშიც ადამიანის ფიტული იყო „გაშხლართული".

მოკლედ, სამდღიანი მღელვარება დასრულდა და თანაც როგორც ზღაპარში: კაცმა ლუდი მიირთვა, გემოზე იფრინა, ჩამოვიდა ისევ მიწაზე და ცხოვრობდა ბედნიერად...

გ. გოგოლაძე

„ახალგაზრდული ფორუმი" აქტივობებს აგრძელებს

20 აპრილს, ქალაქის ცენტრში, ჩატარდა მარათონი, რომელიც, ჯერ კიდევ, მიმდინარე წლის, თებერვლის თვეში დაიგეგმა. №1 საჯარო სკოლაში გაიმართა „ახალგაზრდული ფორუმი", რომელშიც ჩართულნი იყვნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები.

სურამის №2 საჯარო სკოლის ინიციატივით, რამდენიმე სკოლასთან ერთად შეიქმნა ერთობლივი პროექტი, რომლის მიზანი გახლდათ ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა თემში, რომლის განსახორციელებლადაც მოსწავლეებმა დაგეგმეს შემდეგი აქტივობები: საინფორმაციო ინტერნეტგვერდის შექმნა, საინფორმაციო ბროშურების დამზადება, გამოკითხვა თემში, ფილმების შექმნა წარმატებულ ისტორიებზე და ინტერნეტ კონკურსის ჩატარება, ექსკურსია ოლიმპიურ მუზეუმში და აღნიშნული მარათონი.

დალი ბროლიძე, სურამის №2 საჯარო სკოლის დირექტორი: დღევანდელი აქტივობა სურამის №2 სკოლამ დაგეგმა ხცისის, ბებნისის საჯარო სკოლებსა და დიმიტრი ყიფიანის სკოლა-პანსიონთან ერთად. ბავშვებმა შექმნეს პროექტი „ჯანსაღი თაობის მარათონი", განხორციელდა მთელი რიგი აქტივობები: გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, ჩატარდა კვლევები იმის შესახებ თუ რამდენადაა მოსახლეობა ინფორმირებული, ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე კი, ბავშვებმა დაამზადეს ბუკლეტები და დაარიგეს მოსახლეობაში. დღევანდელი აქტივობაც, ანუ მარათონი, სწორედ, ამ პროექტის ფარგლებში გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა პროექტზე მომუშავე სკოლის მოსწავლეების გარდა, სხვა სკოლის მოსწავლეებმაც მიიღეს.

ზვიად გოგუაძე ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: დღევანდელი მარათონი ემსახურება ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერებას, ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით, რომელშიც ჩართულია ჩვენი მუნიციპალიტეტის რამოდენიმე სკოლა და რომლის ორგანიზებასაც მხარი ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა და ადგილობრივმა თვითმმართველობებმა დაუჭირეს. მსგავსი პროექტები, რომლებიც ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას ემსახურება, ვიმედოვნებთ, სამომავლოდაც გაგრძელდება.

მარათონში მონაწილეობდა სურამის მე-2 საჯარო, ხაშურის №1 და №6 საჯარო, ბებნისის და ხცისის სკოლები, დიმიტრი ყიფიანის სკოლა-პანსიონი. გამარჯვებულ მოსწავლეებს ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადაეცათ.



მარიამ ნოზაძე – სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის წარჩინებული

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა მესამე წელია ტარდება, რომლის ჩატარებასაც გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს. ოლიმპიადა მიზნად ისახავს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებას. პროექტით განსაზღრულია ნიჭიერი და სოციალურად აქტიური ახალგაზრდების გამოვლენა. პროექტში, ყოველ წელს, საქართველოს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ჩვენი მუნიციპალიტეტის აქტიური მოსწავლეებიც მონაწილეობენ. წელს, ალის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე მარიამ ნოზაძე ერთერთი იყო რაიონის იმ ორი მოსწავლიდან, რომელიც მიღწეული წარმატებისათვის მიწვეული იყო გამოცდების ეროვნულ ცენტრში. მარიამი ფსიანი და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდა.

- ანონსი -

26 აპრილს, ოთხშაბათს, ქვიშხეთში აღინიშნება წმინდა დიმიტრი - სამშობლოსთვის წამებულის (ყიფიანი) ხსენების დღე.

პროგრამა

12.00 სთ. - მოწვეული სტუმრების მიღება მხარეთმცოდნეობის მუზეუმში;

13.00 სთ. - დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენებელი პარაკლისი ქვიშხეთის აღდგომის სახელობის ეკლესიაში;

14.00 სთ. - შეხვედრა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ეზოში;

15.00 სთ. - სახლ-მუზეუმის დათვალიერება;

15.30 სთ. - ე.წ. „ცოცხალი ბიბლიოთეკა“ - ეზოში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების დირექცია

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის დირექცია

- მინიფეხბურთი -

რეგიონში პირველები ვართ, წინ ზონალური ტურნირია

რეგიონალური ფინალური შეხვედრა, ვაუებს შორის, მინი ფეხბურთში, ხაშურის მუნიციპალიტეტის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. გორის მუნიციპალიტეტის გუნდთან დაპირისპირებისას, ხაშურის მუნიციპალიტეტის

№1 საჯარო სკოლის გუნდმა, თერთმეტმეტრიან დარტყმების სერიაში უპირატესობა მოიპოვა.

გამარჯვებულ გუნდის წევრებს სიგელები და დიპლომები ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ და ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის მენეჯერმა გოჩა გეგენავამ გადასცეს. გამარჯვების თასით კი გუნდი ადგილობრივმა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ დააჯილდოვა.

ხაშურში ტურნირის მხარდამჭერები იყვნენ მუნიციპალიტეტის გამგეობა და ადგილობრივი რესურსცენტრი

ოლიმპიადა, ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართება. პრინციპი კი ასეთია: გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს ზონალურ ტურნირში, რომელიც თბილისში გაიმართება, ხოლო ფინალში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს ქალაქ ქუთაისში დაუპირისპირდებიან.

დღის ფოტო. პატარა მორაგბეები.

მხიარული სტარტების" რეგიონის ჩემპიონები სურამელი მოსწავლეები გახდნენ

ამ დღეებში, ქალაქ გორის სპორტსკოლის დარბაზში, გაიმართა „მხიარული სტარტების” შიდა ქართლის რეგიონული ჩემპიონატის ფინალური თამაში, სადაც გამარჯვება 35 ქულით მოიპოვა სურამის 2 საჯარო სკოლამ, მეორე ადგილზე კი 30 ქულით გორის №4 საჯარო სკოლა გავიდა.

მარად ენთოს შენთვის წმინდა სანთელი!

(ნანა ღამბაშიძის ხსოვნა)

„შენს ეზოში ნუში ისევ აკვირტდა,
ვაშლის ყვავილს სურნელი აქვს საამო“.

ჰო, ლურჯი იგრიკა გამორჩეული და ამაღლებული გრძნობებით სავსეა. შენც ხომ აპრილის ლამაზ თვეს მოევლინე საწუთროს. შენ, რომელიც თავად აფრქვევდი დიდ სიყვარულსა და განუზომელ სიკეთეს, ჩვენო საოცრად გასაოცარო, ნანა!

ვფიქრობთ შენზე და ვხვდებით, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა იმგვარად, რომ დავიწყების მდინარემ არ წალეკოს მის მიერ განვლილი გზა-შარა, როგორ უნდა ააგოს ხიდი სიყვარულისა, რომელიც სიძულვილის გაუტანლობის ზღვარს შლის...

ჩვენო ნანა, შენ, გარეგნულად მშვენიერს, ნაზსა და კდემამოსილს, სულიც სუფთა გებადა, ვით უბიწო თოვლის ფიფქი, უფაქიზესი, წმინდა და მტვერწაუყრელი.

შენ, რომელიც მრავალჯერ შეჭიდებიხარ სიძნელეებს, მძიმე აღმართებიც არ აგცდენია, მაგრამ სიკეთით სავსე გულში რწმენის და იმედის სანთელანთებულს სიავე დაგიმარცხებია, სულიერი ტკივილები მოგიშუშებია, თუმცა სიდიადეც ხომ ტკივილიდან იღებს სათავეს მიზნამდე ნარ-ეკლიანი გზის კაფვასთან ჭიდილი გვიხდება, ჩვენო ნანა. შენ მშველელად არავის უხმობდი, წუწუნით არავის აწუხებდი, ჩვენ მუქ ფერებს გვარიდებდი და ნათელი ფერით გვმოსავდი. ჰო, შენი მრავალმხრივი ნაღვაწი, უდიდესი სიყვარულითა და რუდუნებით ნალოლიავები, ხშირად მართლაც გმირობის ნაპერწკლად ანთებულა, ჩირაღდნად აბრდღვიალებულა და მადლიერების გრძნობებით გადმოღვრილა იმ სათნოებით სავსე გზაზე, რომელიც მოყვასთა გულებისაკენ მიემართება, ხოლო შემდგომში მარადისობაში დაივანებს.

შენს მიერ განვლილი გზის სისპეტაკე სიმშვიდით გვავსებს, მარად გვმოძღვრავს და ვისმენთ შენი სულის ღაღადისს „მარად გწამდეთ ღმერთი სიყვარულისა“. ჩვენც შეუცვლელი გრძნობით გვიყვარხარ ნანა, ჩვენო დიდო ტკივილო. არდავიწყების ჟამი დამდგარა, ნანა. შენ ჩვენთან ხარ. სულეთში გილოცავთ დაბადების დღეს!

შენი მეგობრები

ნანი გაჩეჩილაძე, ნათელა ჭინჭარაძე, კლარა გელაშვილი

მეგობრები გივი ხვედელიძე, ჯემალ გელაშვილი, რობერტ სუხიაშვილი, თამაზ ქიმერიძე, ელიშუქ ნოზაძე, იზო პაქსაშვილი, ნათელა ალბრეხტი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლუიზა ცუცქირიძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და სანათესაოს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.